შეჯიბრის წესები

სარჩევი

ზოგადი ინფორმაცია 1
1. რეგისტრაცია 2
2. კაზუსი 3
3. მონაწილე გუნდები 4
4. წერილობითი კომპონენტი 5
5. ზეპირი კომპონენტი 7
6. შეფასების კრიტერიუმები 10
7. დამოუკიდებლად მუშაობა და აკადემიური დახმარების მოცულობა 12
8. დაჯილდოვება 12
9. დასკვნითი დებულებები 12

მე-2 ყოველწლიური შეჯიბრი - იმიტირებული პროცესი საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში

ზოგადი ინფორმაცია

1. **შეჯიბრის შესახებ**. იმიტირებული პროცესი საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში (შემდგომში **"შეჯიბრი"**) არის საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟით დაინტერესებული სტუდენტებისთვის განკუთვნილი ყოველწლიური შეჯიბრი, რომელიც გაიმართება საქართველოში, ქ. თბილისში (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ აკადემიურ კორპუსში) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრის (NCADR) ორგანიზებით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ), აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტისა (EWMI) და მისი პროგრამის - მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტის (JILEP) ფინანსური და არბიტრაჟის ინიციატივა - საქართველოსა და საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის აკადემიური მხარდაჭერით ა/წ 4 სექტემბრიდან 16 ნოემბრამდე.
2. **მიზანი**. შეჯიბრი მიზნად ისახავს საქართველოში საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის პოპულარიზაციას. შეჯიბრის ფარგლებში, დაინტერესებულ სტუდენტებს მიეცემათ შესაძლებლობა, კონკრეტული სამართლებრივი დავის საფუძველზე იმიტირებულ პროცესში მონაწილეობის გზით, გაიღრმავონ ცოდნა და შეიძინონ საჭირო უნარები. შეჯიბრი არის საგანმანათლებლო ხასიათის პროგრამა შემდეგი მიზნებით:
    - სამართლებრივი დოკუმენტების მომზადების კულტურის ამაღლება;
    - ადვოკატობის უნარ-ჩვევის შეძენა და გაღრმავება;
    - გუნდური და დამოუკიდებლად მუშაობის უნარ-ჩვევების განვითარება; და
    - საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის სფეროში ცოდნის გაღრმავება და აღნიშნულ სფეროში მოქმედი ძირითადი სამართლებრივი აქტების გაცნობა;

   შეჯიბრის წესების განმარტება უნდა მოხდეს ზემოთ მითითებული მიზნების გათვალისწინებით.
3. **მონაწილეები.** შეჯიბრში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს მასშტაბით არსებული ნებისმიერი აკრედიტებული

უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტებს (აუცილებელია რეგისტრაციის მომენტისათვის სტუდენტს დამთავრებული ჰქონდეს ბაკალავრიატის მე-2 კურსი). შეჯიბრი განკუთვნილია სტუდენტებისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟით და სურთ გაიღრმავონ ცოდნა და მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებასა და კლიენტის ინტერესების დასაცავად საარბიტრაჟო ტრიბუნალის წინაშე ზეპირ გამოსვლაში.

4. **ენა.** შეჯიბრი წარიმართება ქართულ ენაზე. საარბიტრაჟო სარჩელი და შესაგებელი უნდა მომზადდეს ქართულად. ზეპირი განხილვები მიმდინარეობს ასევე ქართულ ენაზე.

შეჯიბრი რეგულირდება წინამდებარე წესებით.

1. რეგისტრაცია

1.1. შეჯიბრში მონაწილეობის უფლება აქვს მხოლოდ იმ გუნდს, რომელიც: (ა) გაივლის რეგისტრაციას წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული წესით და მითითებულ ვადაში; და (ბ) გამოაგზავნის შეჯიბრის ორგანიზატორებთან საარბიტრაჟო სარჩელსა და საარბიტრაჟო შესაგებელს წინამდებარე წესებით გათვალისწინებული ფორმით და მითითებულ ვადებში.

1.2. შეჯიბრში მონაწილეობა უფასოა.

1.3. შეჯიბრისთვის რეგისტრაცია ხორციელდება 2014 წლის 4 სექტემბრიდან 15 სექტემბრის ჩათვლით.

1.4. შეჯიბრისთვის რეგისტრაციის გასავლელად, გთხოვთ იხილოთ მონაწილეთა რეგისტრაცია და შერჩევის კრიტერიუმები და მიჰყვეთ მასში მოცემულ ინსტრუქციას.

1.5. სარეგისტრაციო განაცხადში მითითებული გუნდის მწვრთნელი ჩაითვლება ორგანიზატორებისათვის შესაბამის გუნდთან საკონტაქტო პირად და შეჯიბრის ორგანიზატორების მიერ მისთვის გაგზავნილი

ნებისმიერი შეტყობინება ჩაითვლება გუნდის მიერ სათანადო წესით მიღებულად.

1.6. შეჯიბრში რეგისტრაციით, გუნდი და თითოეული მისი წევრი აცხადებს თანხმობას დაიცვას შეჯიბრის წესები და ორგანიზატორების მიერ დროდადრო მიწოდებული ინსტრუქციები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

2. კაზუსი

2.1. შეჯიბრის კაზუსი არის იმიტირებული დავა იმიტირებულ მხარეებს შორის საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის თაობაზე, რომელსაც მოსარჩელე წარადგენს მხარეთა მიერ წინასწარ შეთანხმებულ არბიტრაჟში გადასაწყვეტად (შემდგომში **"კაზუსი"**).

2.2. პრობლემა გამოქვეყნდება 2014 წლის 15 სექტემბერს თსუ დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრის ვებ. გვერდზე (http://ncadr.tsu.ge/) და აგრეთვე დაეგზავნებათ გუნდებს, სარეგისტრაციო განაცხადში მითითებულ საკონტაქტო ელექტრონულ მისამართებზე.

2.3. გუნდები თავად არიან პასუხისმგებელნი უზრუნველყონ ზემოთ აღნიშნულ რომელიმე ან ყველა საინფორმაციო საშუალებასთან მათი წვდომა.

2.4. კაზუსში მოცემული ფაქტები და შეჯიბრის ორგანიზატორების მიერ შეჯიბრის წესების 2.6 მუხლის შესაბამისად გამოშვებული განმარტებები, წარმოადგენს დავის ირგვლივ არსებულ და მხარეთათვის და მათი სამართლებრივი მრჩევლებისთვის ცნობილი ფაქტების სრულ და ამომწურავ აღწერას. გუნდები არ არიან უფლებამოსილნი საკუთარი შეხედულებისამებრ დაამატონ რაიმე ფაქტი ან მოახდინონ მითითებული ფაქტების იმგვარად ინტერპრეტაცია, რაც უთანაბრდება ახალი ფაქტის დამატებას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დამატებული ფაქტი არის საყოველთაოდ ცნობილი.

2.5. ფაქტების დამატება გუნდის მიერ, რაც არ არის ნებადართული ზემოაღნიშნული 2.4 პუნქტით, ჩაითვლება წინამდებარე წესების

დარღვევად გუნდის მიერ და ამგვარ შეთხზულ/დამატებულ ფაქტზე დაფუძნებული არგუმენტი არ მიიღება შემფასებლების მიერ მხედველობაში, არც წერილობითი ეტაპის და არც ზეპირი განხილვის დროს.

2.6. მონაწილე გუნდებს აქვთ უფლება 2014 წლის 22 სექტემბრამდე მიმართონ დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალურ ცენტრს კაზუსში წარმოდგენილი ფაქტების დაზუსტების ან დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით. აღნიშნული კითხვები გაიგზავნება შემდეგ ელ. ფოსტაზე: apply.ncadr@tsu.ge. პასუხები გამოგზავნილ კითხვებზე გამოქვეყნდება ვებ. გვერდზე (www.ncadr.tsu.edu.ge) არაუგვიანეს 2014 წლის 29 სექტემბრისა.

3. მონაწილე გუნდები

3.1. შეჯიბრში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს საქართველოში აკრედიტებული უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისაგან და მწვრთნელისგან დაკომპლექტებულ გუნდს. ინდივიდუალური განაცხადები რეგისტრაციაზე არ მიიღება და ამგვარად დარეგისტრირებული სტუდენტი არ ჩაითვლება სათანადო წესით რეგისტრირებულად.

3.2. გუნდი უნდა შედგებოდეს არაუმცირეს 2 (ორი) და არაუმეტეს 4 (ოთხი) სტუდენტისგან და ერთი მწვრთნელისგან.

3.3. წინამდებარე წესების მიზნებისათვის "სტუდენტი" გულისხმობს: საქართველოში აკრედიტებული უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტს, რომელსაც რეგისტრაციის მომენტისათვის სტუდენტს დამთავრებული ჰქონდეს ბაკალავრიატის მე-2 კურსი (შემდგომში **"სტუდენტი"**). ,,მწვრთნელი" შესაძლებელია იყოს შესაბამის სფეროში კომპეტენტური პროფესორი ან პრაქტიკოსი იურისტი, რომელსაც გუნდის წევრები განსაზღვრავენ მწვრთნელად.

3.4. წლევანდელი შეჯიბრის წერილობით ნაწილში მონაწილეობას მიიღებს ყველა რეგისტრირებული გუნდი. ზეპირ ნაწილში მონაწილე გუნდების რაოდენობა შეზღუდულია და მასში მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ

ის 8 (რვა) გუნდი, რომელსაც შეარჩევს შეჯიბრის ჟიური წერილობით ნაწილში წარდგენილი დოკუმენტების შესაბამისად.

4. წერილობითი კომპონენტი

4.1. შეჯიბრში მონაწილე ყველა გუნდი ვალდებულია წინამდებარე წესებით გათვალისწინებული ფორმით და მითითებულ ვადებში წარადგინოს საარბიტრაჟო სარჩელი და ორგანიზატორების მიერ ამ გუნდისთვის გამოგზავნილ საარბიტრაჟო სარჩელის საპასუხოდ მომზადებული საარბიტრაჟო შესაგებელი.

4.2. საარბიტრაჟო სარჩელი უნდა გაიგზავნოს მისამართზე: apply.ncadr@tsu.ge არაუგვიანეს 2014 წლის 12 ოქტომბრისა. ამ პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის გამოგზავნა დასაშვებია მითითებული ვადის ბოლო დღის 24 საათამდე.

4.3. არაუგვიანეს 2014 წლის 15 ოქტომბრისა თითოეულ გუნდს ეგზავნება სხვა გუნდის მიერ წარდგენილი საარბიტრაჟო სარჩელი. გუნდი წარადგენს საარბიტრაჟო შესაგებელს არაუგვიანეს 2014 წლის 2 ნოემბრისა. საარბიტრაჟო შესაგებელი უნდა პასუხობდეს იმ საარბიტრაჟო სარჩელს, რომელზედაც ხდება შესაგებელის წარდგენა. ამ პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის გამოგზავნა დასაშვებია მითითებული ვადის ბოლო დღის 24 საათამდე.

4.4. ის საარბიტრაჟო სარჩელი, რომელზედაც გუნდმა უნდა წარადგინოს შესაგებელი განისაზღვრება შეჯიბრის ორგანიზატორების მიერ.

4.5. საარბიტრაჟო სარჩელში და შესაგებელში საკანონმდებლო აქტების, კონვენციის თუ სხვა სამართლებრივი აქტების გარდა, მითითებული უნდა იყოს გამოყენებული ლიტერატურა და პრეცედენტები.

4.6. წარდგენის შემდეგ დაუშვებელია საარბიტრაჟო სარჩელის და საარბიტრაჟო შესაგებელის ჩასწორება და ამგვარად ჩასწორებული ან სხვაგვარად მოდიფიცირებული დოკუმენტი აღარ მიიღება ორგანიზატორების მიერ.

4.7. გუნდი, რომელიც წარადგენს მხოლოდ საარბიტრაჟო სარჩელს ან მხოლოდ საარბიტრაჟო შესაგებელს, გამოეთიშება შეჯიბრს და არ

იქნება დაშვებული ზეპირ განხილვაზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი საორგანიზაციო კომიტეტი გადაწყვეტს სხვაგვარად.

4.8. ვინაიდან ყველა გუნდს უნდა მიეცეს თანაბარი შესაძლებლობა გამოავლინოს თავისი ცოდნა და შესაძლებლობები, დაუშვებელია წინამდებარე წესებით გათვალისწინებული ნებისმიერი ვადის გაგრძელება რომელიმე გუნდისათვის ექსკლუზიურად. ვადის უშედეგოდ გაშვება არის შეჯიბრიდან მოხსნის უპირობო საფუძველი და გაშვებული ვადა არ აღდგება, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი აღნიშნული გამოწვეულია ორგანიზატორების მხრიდან ტექნიკური ან სხვაგვარი ხარვეზით, რა შემთხვევაშიც ვადა გაგრძელდება ყველა მონაწილე გუნდისთვის იმ დროით, რა დროითაც მოქმედებდა ტექნიკური ხარვეზი, რის შესახებაც ყველა გუნდს ეცნობება დამატებით ორგანიზატორების მიერ.

4.9. საარბიტრაჟო სარჩელი და შესაგებელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ფორმალურ მოთხოვნებს:

ფონტი:	Sylfean (GEO)
ფონტის ზომა:	ძირითადი ტექსტი- 12 სქოლიო -10 გამოყენებული ლიტერატურა -12
სიტყვების ლიმიტი:	სულ 2500 სიტყვა, სქოლიოს ჩათვლით (გამოყენებული ლიტერატურის გარეშე)
დაშორება:	დაშორება ხაზებს შორის - 1½
თავფურცელი:	სავალდებულოა მხარეების, გუნდის წევრების სახელების და იმის მითითება დოკუმენტი სარჩელია თუ შესაგებელი
არე:	ყველა არე უნდა იყოს 2.5სმ. ტოლი
ფორმატი:	PDF ფაილი.

5. ზეპირი კომპონენტი

5.1. გუნდი, რომელიც გაივლის წინასწარ რეგისტრაციას და წარადგენს როგორც საარბიტრაჟო სარჩელს, ისე საარბიტრაჟო შესაგებელს წინამდებარე წესებით გათვალისწინებულ ვადაში, დაიშვება შეჯიბრის დასკვნით ეტაპზე - ზეპირ განხილვაზე.

5.2. დავის ზეპირი განხილვები შედგება 2014 წლის 15 – 16 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი აკადემიურ კორპუსში (ჭავჭავაძის გამზირი #1, 0179, თბილისი, საქართველო).

5.3. ზეპირი განხილვები შედგება 3 ეტაპისგან:

პირველი რაუნდი - შეჯიბრში მონაწილე ყველა ის გუნდი, რომელმაც დაწესებულ ვადაში და დადგენილი ფორმით წარადგინა სარჩელი და შესაგებელი, შეხვდება მოწინააღმდეგე გუნდს; ამასთან, მოსარჩელე გუნდს დაუპირისპირდება მოპასუხის ის გუნდი, რომელმაც წარადგინა საარბიტრაჟო შესაგებელი მოსარჩელე გუნდის საარბიტრაჟო სარჩელზე; თუკი აღნიშნული კონფიგურაციის განხორციელება შეუძლებელია შესაბამისი გუნდის დისკვალიფიკაციის ან სხვა რაიმე მიზეზის გამო, საორგანიზაციო კომიტეტი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვროს თუ რა გუნდები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

ნახევარფინალი - პირველი რაუნდის ფარგლებში გამართული იმიტირებული საარბიტრაჟო განხილვების შედეგად გამოვლენილი ოთხი საუკეთესო გუნდი შეხვდება ერთმანეთს, საორგანიზაციო კომიტეტის მიერ განსაზღვრული კონფიგურაციით;

ფინალი - ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდება ნახევარფინალში გამოვლენილი ორი საუკეთესო გუნდი.

5.4. ორგანიზატორებს ენიჭებათ სრული დისკრეცია თავად განსაზღვრონ თუ რომელი გუნდები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს თითოეული რაუნდის და ასევე ნახევარფინალის ფარგლებში, გარდა ფინალური რაუნდისა, სადაც ერთმანეთს დაუპირისპირდება ორი გუნდი, რომელიც ნახევარფინალურ რაუნდებში მოიპოვებს გამარჯვებას. აგრეთვე, მხოლოდ საორგანიზაციო კომიტეტი არის უფლებამოსილი

დაადგინოს თუ რომელ პოზიციაზე (მოსარჩელე ან მოპასუხე) გამოვა შესაბამისი გუნდი ყოველ კონკრეტულ პროცესზე. ამასთან, თუკი ორი გუნდი, რომელიც წინა რაუნდში ერთხელ უკვე შეხვდნენ ერთმანეთს, ხელმეორედ ხვდებიან სხვა რაუნდში, ისინი გაცვლიან პოზიციებს (ყოფილი მოსარჩელე გამოვა მოპასუხის პოზიციაზე, ხოლო ყოფილი მოპასუხე - მოსარჩელის პოზიციაზე).

5.5. პირველი რაუნდის ფარგლებში გასამართი იმიტირებული საარბიტრაჟო პროცესების ცხრილი, ზუსტი თარიღის, დროის, გუნდების (პოზიციის მითითებით: მოსარჩელე ან მოპასუხე), პროცესის მისამართის და საარბიტრაჟო ტრიბუნალის შემადგენლობის მითითებით, ეგზავნებათ მონაწილე გუნდებს და არბიტრებს ორგანიზატორების მიერ არაუგვიანეს პირველი რაუნდის დაწყებამდე 7 (შვიდი) კალენდარული დღით ადრე.

5.6. მხოლოდ გუნდია უფლებამოსილი დაადგინოს ყოველ კონკრეტულ პროცესზე გუნდიდან გამომსვლელ ორატორთა ვინაობა. გუნდები არ არიან ვალდებულნი წინასწარ შეატყობინონ გამომსვლელთა ვინაობა ორგანიზატორებს.

5.7. იმიტირებული საარბიტრაჟო პროცესი გრძელდება არაუმეტეს 90 წუთის განმავლობაში.

5.8. **დროის გადანაწილება გუნდებისთვის:** თითოეულ გუნდს ეძლევა 30 წუთი გამოსვლისთვის, აღნიშნული დრო გუნდის ორმა გამომსვლელმა ერთმანეთში უნდა გაინაწილოს შეძლებისდაგვარად თანაბრად (თითო გამომსვლელი 15 წუთი). საარბიტრაჟო ტრიბუნალი უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში მისცეს გუნდს დამატებით მაქსიმუმ 5 წუთი კითხვებზე საპასუხოდ ან არგუმენტის ჩამოსაყალიბებლად. თითოეულ გუნდს აგრეთვე მიეცემა 5 წუთი პაექრობისათვის, რაც გულისხმობს მოწინააღმდეგე მხარის მიერ ძირითადი გამოსვლის განმავლობაში წამოჭრილ არგუმენტებზე პასუხის გაცემას, მათი გაბათილების მიზნით.

5.9. **დროის გადანაწილება ტრიბუნალისთვის:** პროცესის განმავლობაში საარბიტრაჟო ტრიბუნალს ეძლევა არაუმეტეს 10 წუთისა საკუთარი თავის წარსადგენად და პროცესის დღის წესრიგის განსასაზღვრად. ტრიბუნალის მიერ თითოეული გამომსვლელისთვის დასმული

კითხვები, ასევე პასუხები ამ კითხვებზე ითვლება ამ გამომსვლელისათვის განსაზღვრულ დროში და მათ საპასუხოდ გამომსვლელს არ მიეცემა დამატებითი დრო.

5.10. უმნიშვნელოვანესია მონაწილე გუნდებისა და არბიტრების მიერ, ზემოთ მითითებული დღის წესრიგისა და დროის ზედმიწევნით ზუსტად დაცვა. გასათვალისწინებელია, რომ დროის მენეჯმენტი და კონტროლი არის გუნდის გამოსვლის შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმი.

5.11. პროცესი წარიმართება სამი არბიტრისაგან დაკომპლექტებულ ტრიბუნალს, ორი გამომსვლელით წარმოდგენილ მოსარჩელეს და ორი გამომსვლელით წარმოდგენილ მოპასუხეს შორის. პროცესს შეიძლება ესწრებოდნენ გუნდების დანარჩენი წევრები, გუნდების მწვრთნელები და სხვა მონაწილე გუნდები, მხოლოდ იმ პირობით, რომ ისინი არ გაუწევენ არანაირ დახმარებას პროცესში მონაწილე გუნდებს, არ შეაფერხებენ პროცესს, არ ჩაერევიან პროცესის მსვლელობაში ან სხვაგვარად ხელს არ შეუშლიან პროცესის მიმდინარეობას. ამასთან, არამონაწილე გუნდი უფლებამოსილია დაესწროს მაყურებლის სახით მხოლოდ იმ პროცესს, რომელზეც მონაწილის სტატუსით არ გამოდის ის გუნდი, რომელიც ორგანიზატორების მიერ მოწოდებული გრაფიკის თანახმად, მომავალში უნდა დაუპირისპირდეს მაყურებელ გუნდს.

5.12. პროცესს ხსნის საარბიტრაჟო ტრიბუნალის თავმჯდომარე, რომელიც განისაზღვრება ორგანიზატორების მიერ. თავმჯდომარე წარადგენს საკუთარ თავს და ტრიბუნალის წევრებს და განუსაზღვრავს მხარეებს პროცესის დღის წესრიგს. ტრიბუნალი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეაწყვეტინოს გუნდს სიტყვით გამოსვლა და დასვას შეკითხვები. ტრიბუნალი ვალდებულია აკონტროლოს დღის წესრიგით გათვალისწინებული დრო და საჭიროების შემთხვევაში, მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი დროის მინიჭების თაობაზე, მხოლოდ წინამდებარე მუხლით გათვალისწინებულ ფარგლებში.

5.13. პროცესი უნდა წარიმართოს პროფესიონალურ, კოლეგიალურ, კორექტულ და პოზიტიურ ვითარებაში. ტრიბუნალის თავმჯდომარე, ტრიბუნალის სხვა წევრებთან თათბირის შედეგად იღებს გადაწყვეტილებას გააძევოს დარბაზიდან პროცესის ის მონაწილე ან

პროცესზე დამსწრე ის მაყურებელი, რომელიც მოიქცევა პროფესიონალური სტანდარტებისთვის შეუფერებლად ან სხვაგვარად ხელს შეუშლის პროცესის მსვლელობას.

5.14. გუნდებს და არბიტრებს ჩაუტარდებათ ტრეინინგი ორგანიზატორების მიერ ზეპირი განხილვის რაუნდების დაწყებამდე შემლებისდაგვარად ადრე. ტრეინინგის ზუსტი თარიღისა და ადგილის შესახებ ეცნობებათ მონაწილეებს შეჯიბრის მსვლელობისას.

6. შეფასების კრიტერიუმები

6.1. შეჯიბრის წერითი და ზეპირი კომპონენტი ფასდება ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად და შესაბამისად, გავლენას არ ახდენს ერთი მეორეზე.

6.2. გუნდების მიერ წარდგენილი სარჩელები და შესაგებლები გადაეცემა პრაქტიკოსი იურისტებისა და აკადემიურ სფეროში მოღვაწე პირებისგან შემდგარ კომისიას. კომისიის წევრების ვინაობას განსაზღვრავს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი.

6.3. წერითი კომპონენტი ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:

- წესებით გათვალისწინებული ფორმალური მოთხოვნების დაცვა;
- სამართლებრივი საკითხის კვლევისა და ანალიზის სიღრმე და ხარისხი;
- არგუმენტების დამაჯერებლობა;
- პრობლემაში მოცემული ფაქტების გამოყენება პოზიციის წარმოსადგენად;
- სამართლებრივი პრობლემების ირგვლივ ჩატარებული კვლევის მოცულობა;
- გამოყენებული ლიტერატურა და პრეცედენტები;
- საარბიტრაჟო სარჩელის შემთხვევაში, არგუმენტების ამომწურაობა;
- საარბიტრაჟო შესაგებელის შემთხვევაში, სარჩელში წარმოდგენილი ყველა საკითხის განხილვა; მოპასუხე გუნდი არ

არის შეზღუდული სარჩელში მოცემული მსჯელობით და შეუძლია განავითაროს დამატებითი არგუმენტები;

- არგუმენტების თანამიმდევრობა, სიცხადე და ნაშრომის გრამატიკული გამართულობა.

6.4. **პლაგიარიზმი.** ნებისმიერი სარჩელი ან შესაგებელი, რომელიც შეიცავს ტექსტს სხვა ნაშრომიდან, პრეცედენტიდან ან სხვა რაიმე წერილობითი წყაროდან უნდა იყოს ჩასმული ბრჭყალებში და სქოლიოში მიუთითებდეს შესაბამის წყაროზე.

6.5. ზეპირ კომპონენტში გუნდების შეფასება ხდება ყოველი იმიტირებული პროცესის ბოლოს, საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ შეფასების ფურცლების საფუძველზე, მხოლოდ შესაბამის პროცესზე გუნდის (ინდივიდუალური ორატორის) გამოსვლის გათვალისწინებით. ტრიბუნალი დაკომპლექტებული იქნება პრაქტიკოსი იურისტებისა და არბიტრაჟის სფეროში მოღვაწე პროფესიონალებისგან. ტრიბუნალის თითოეული წევრი თავად, საკუთარი შეხედულებისამებრ, განსაზღვრავს გუნდისთვის, აგრეთვე ინდივიდუალური ორატორის შეფასებას. ტრიბუნალის წევრები არ არიან ვალდებულნი შეუთანხმონ ერთმანეთს გუნდების შეფასებები.

6.6. ზეპირი გამოსვლის შეფასების კრიტერიუმები:

- არგუმენტების არსებითი დამაჯერებლობა, საქმის ფაქტობრივი გარემოებების ცოდნა, სამართლებრივი საკითხების, კანონმდებლობის, პრეცენდენტების ცოდნა და მიზნობრივი გამოყენება;
- დროის მენეჯმენტი და სწორი გადანაწილება;
- გუნდური მუშაობა;
- არგუმენტების ზეპირი ფორმით ეფექტურად ჩამოყალიბების უნარი, სხეულის ენა და პროფესიონალიზმი;
- ტრიბუნალის შეკითხვებზე პირდაპირი, სრული, ამომწურავი და ადექვატური პასუხის გაცემა;
- ინტერაქცია ტრიბუნალთან;
- საწინააღმდეგო არგუმენტების გათვალისწინება და გაბათილება ზეპირი გამოსვლის განმავლობაში;

- მოპასუხე გუნდის წევრებისადმი და ტრიბუნალისადმი კოლეგიალური დამოკიდებულება.
- მთლიანობაში არგუმენტების წარმოჩენის დამაჯერებლობა;

6.7. ზეპირი გამოსვლის დროს გუნდი არ არის შეზღუდული წერილობით წარდგენილი არგუმენტებით. გუნდები უფლებამოსილნი არიან გასცდნენ და განავითარონ საარბიტრაჟო სარჩელში/შესაგებელში წარმოდგენილი არგუმენტაცია.

7. დამოუკიდებლად მუშაობა და აკადემიური დახმარების მოცულობა

7.1. გუნდი ვალდებულია დამოუკიდებლად წარმართოს პრობლემაში დასმული სამართლებრივი საკითხების კვლევა, სამართლებრივი პრობლემის ანალიზი და პრობლემის გადასაჭრელად სამართლებრივი არგუმენტების ჩამოყალიბების პროცესი.

7.2. გუნდს შეიძლება ჰყავდეს ერთი მწვრთნელი, რომელიც გუნდს უწევს ზოგად აკადემიურ, ადმინისტრაციულ ან ტექნიკურ დახმარებას.

8. დაჯილდოვება

8.1. შეჯიბრის ბოლოს გამოვლინდება გამარჯვებული 1-ლი და მე-2 ადგილის მფლობელი გუნდ(ებ)ი.

8.2. ყველა მონაწილე გუნდს გადაეცემა იმიტირებულ პროცესში მონაწილეობის/გამარჯვების დამადასტურებელი სერტიფიკატი.

9. დასკვნითი დებულებები

9.1. შეჯიბრი წარიმართება ამ წესების შესაბამისად.

9.2. გუნდებს შეუძლიათ შეკითხვები შეჯიბრის წესებთან ან სხვა ლოჯისტიკურ საკითხებთან დაკავშირებით გააგზავნონ შემდეგ ელ. ფოსტის მისამართზე: apply.ncadr@tsu.ge

9.3. წესებში შეიძლება შევიდეს ცვლილებები შეჯიბრის მიმდინარეობის განმავლობაში, მხოლოდ იმ მოცულობით რაც არ შეაფერხებს ან სხვაგვარად არ დააბრკოლებს შეჯიბრის მიმდინარეობას. ნებისმიერი

ცვლილება ან დამატება წინამდებარე წესებში ძალაში შედის მისი ვებ გვერდზე (www.ncadr.tsu.ge) გამოქვეყნების შემდეგ.

9.4. რეგისტრირებული გუნდების შესახებ ოფიციალურად ცხადდება ვებ-გვერდზე: www.ncadr.tsu.ge